ინფორმაციული დანართი დაჩქარებული პროცედურის შესახებ

GEORGIANO - ქართული

თქვენი საერთაშორისო დაცვის მოთხოვნა **განიხილება „დაჩქარებული“** პროცედურის მეშვეობით. ეს ნიშნავს, **რომ თქვენი მოთხოვნა განიხილება რაც შეიძლება სწრაფად და მასზე გადაწყვეტილება მიიღება მოთხოვნის ოფიციალურად რეგისტრაციიდან სამი თვის განმავლობაში.**

თქვენი მოთხოვნა განიხილება დაჩქარებული პროცედურით, რადგან იგი მიეკუთვნება ქვემოთ ჩამოთვლილ ერთ-ერთ შემთხვევას:

- თქვენი განაცხადის ოფიციალურად წარდგენისას წამოჭერით საკითხები, რომლებსაც არანაირი კავშირი არ აქვს საერთაშორისო დაცვის მინიჭებასთან;

- წარმოადგინეთ აშკარად არათანმიმდევრული ან ურთიერთგამომრიცხავი, აშკარად მცდარი ან აშკარად ნაკლებად სარწმუნო განცხადებები, ან ისეთი განცხადებები, რომლებიც აშკარად ეწინააღმდეგება თქვენი წარმოშობის ქვეყნის შესახებ არსებულ ინფორმაციას;

- მიუხედავად იმისა, რომ გქონდათ შესაძლებლობა, დაგესაბუთებინათ საპატიო მიზეზი, განზრახ შეიყვანეთ შეცდომაში უფლებამოსილი ორგანო ყალბი ინფორმაციის ან დოკუმენტების წარდგენით ან მნიშვნელოვანი ინფორმაციის დამალვით, განსაკუთრებით თქვენი ვინაობისა და მოქალაქეობის შესახებ, ან განზრახ, არაკეთილსინდისიერად გაანადგურეთ ან დამალეთ მნიშვნელოვანი დოკუმენტები;

- საერთაშორისო დაცვის მოთხოვნა წარადგინეთ მხოლოდ იმ მიზნით, რომ შეგეყოვნებინათ, ხელი შეგეშალათ ან აღგეკვეთათ იტალიის ტერიტორიიდან თქვენი გაძევების შესახებ გადაწყვეტილების აღსრულება;

- წარმოშობით ხართ ქვეყნიდან, რომელსაც იტალია ან ევროკავშირი უსაფრთხო წარმოშობის ქვეყნად მიიჩნევს;

- არსებობს საფუძვლიანი მიზეზები იმის დასაჯერებლად, რომ საფრთხეს უქმნით ეროვნულ უსაფრთხოებას ან საზოგადოებრივ წესრიგს, ან უკვე გაძევებული ხართ ეროვნული უსაფრთხოების ან საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სერიოზული მიზეზების გამო;

- წარადგინეთ განმეორებითი განაცხადი, რომელიც დასაშვებად იქნა მიჩნეული;

- იტალიაში უკანონოდ შემოხვედით ან უკანონოდ გაახანგრძლივეთ ქვეყანაში ყოფნის ვადა და, საპატიო მიზეზის გარეშე, დროულად არ გამოცხადდით კომპეტენტურ ორგანოებში ან რაც შეიძლება მალე არ მოითხოვეთ საერთაშორისო დაცვა;

- იტალიაში კანონიერად შემოხვედით და, საპატიო მიზეზის გარეშე, რაც შეიძლება მალე არ მოითხოვეთ საერთაშორისო დაცვა. ეს წესი არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როდესაც საერთაშორისო დაცვის საჭიროება წარმოიშვა მას შემდეგ, რაც უკვე იმყოფებოდით თქვენი წარმოშობის ქვეყნის ფარგლებს გარეთ („*sur place*“);

- წარმოშობით ხართ ქვეყნიდან, რომლის მოქალაქეებისთვის საერთაშორისო დაცვის მინიჭების მაჩვენებელი, ევროკავშირის მასშტაბით Eurostat-ის უახლესი საშუალო წლიური მონაცემების მიხედვით, 20%-ის ტოლია ან მასზე ნაკლებია. ეს წესი არ ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ თქვენს წარმოშობის ქვეყანაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ან თუ მიეკუთვნებით პირთა კატეგორიას, რომელსაც დაცვის განსაკუთრებული საჭიროებები აქვს. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იქნეს პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებებსა და საბოლოო გადაწყვეტილებებს შორის არსებული მნიშვნელოვანი განსხვავებებიც.

მიუხედავად იმისა, რომ თქვენი განაცხადი დაჩქარებული პროცედურის მეშვეობით განიხილება, **ტერიტორიული კომისია ყოველთვის სრულყოფილად შეაფასებს დაცვის მიღების ყველა შესაძლო საჭიროებას, რომელიც შეიძლება გქონდეთ.** თუ კომისია მიიჩნევს, რომ თქვენი განაცხადის განხილვა რთულია და მეტ დროს მოითხოვს, მას შეუძლია შეცვალოს პროცედურა და გააგრძელოს თქვენი განაცხადის განხილვა ჩვეულებრივი პროცედურის ფარგლებში, რომელიც გადაწყვეტილების მისაღებად უფრო ხანგრძლივ ვადას ითვალისწინებს (განაცხადის ოფიციალურად წარდგენის დღიდან ექვსი თვე, შესაძლო ვადის გაგრძელების გათვალისწინებით).

თუ თქვენ გაქვთ განსაკუთრებული საპროცედურო საჭიროებები, ტერიტორიული კომისია თქვენი განაცხადის განხილვის პროცესში შესაბამის მხარდაჭერას გაგიწევთ.

კერძოდ, ასეთი მხარდაჭერა შეიძლება გაგეწიოთ იმ შემთხვევაში, თუ მიეკუთვნებით **მოწყვლად პირთა კატეგორიას,** რადგან გაქვთ **ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები,** გიჭირთ გარკვეული საქმიანობის დამოუკიდებლად შესრულება და/ან ხართ **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი,** ან გადატანილი გაქვთ **წამება** ან მძიმე ფსიქოლოგიური, ფიზიკური, **სექსუალური ან გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობა.**
ასეთ შემთხვევებში, თუ ტერიტორიული კომისია მიიჩნევს, რომ დაჩქარებული პროცედურის ფარგლებში თქვენი განაცხადის განხილვისას შეუძლებელია თქვენთვის საჭირო მხარდაჭერის უზრუნველყოფა, **მას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება თქვენი საქმის ჩვეულებრივი პროცედურით განხილვის შესახებ.**

თუ თქვენ მიეკუთვნებით ზემოთ ჩამოთვლილ რომელიმე კატეგორიას, **მნიშვნელოვანია, რომ თქვენი განსაკუთრებული საჭიროებების შესახებ აცნობოთ საზოგადოებრივი უსაფრთხოების ორგანოს, რომელიც თქვენს განაცხადს არეგისტრირებს.** ასევე მნიშვნელოვანია, რომ განაცხადის ოფიციალურად წარდგენის **ონლაინ ფორმაში მიუთითოთ** თქვენი **მოწყვლადობის ფაქტორები და/ან განსაკუთრებული საჭიროებები** და **დაურთოთ** ამ საჭიროებებთან დაკავშირებული **დოკუმენტაცია, თუ ასეთი დოკუმენტები თქვენს ხელთ არის**. ასეთ შემთხვევებში ტერიტორიულ კომისიას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, რომ თქვენი საქმის განხილვისას გამოიყენოს ჩვეულებრივი პროცედურა. კომისია ასევე გაცნობებთ, თუ რომელი განხილვის პროცედურა იქნა თქვენს საქმესთან მიმართებით გამოყენებული.

თუ ტერიტორიული კომისია უარს იტყვის თქვენი საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე და თქვენ მიიჩნევთ, რომ უარის შესახებ გადაწყვეტილება არასწორია, უფლება გაქვთ, გადაწყვეტილება გაასაჩივროთ სამოქალაქო სასამართლოში.

საჩივრის წარსადგენად აუცილებელია ადვოკატის დახმარება. ამასთან, გათვალისწინებულია სახელმწიფოს ხარჯზე უფასო იურიდიული დახმარების მიღების შესაძლებლობა. საჩივრის წარდგენის პირობები განმარტებულია ჩვეულებრივი პროცედურის შესახებ საინფორმაციო ბროშურაში, რომელიც ამ დანართთან ერთად გადმოგეცათ.

თუმცა, თუ თქვენს საქმეზე გამოყენებული იქნა დაჩქარებული პროცედურა, საჩივარი უნდა წარადგინოთ ტერიტორიული კომისიის გადაწყვეტილების მიღებიდან **7 დღის განმავლობაში.**

გარდა ამისა, მხოლოდ საჩივრის წარდგენა არ გაძლევთ იტალიაში დარჩენის უფლებას. თუ გსურთ, სასამართლო განხილვის მთელი პერიოდის განმავლობაში იტალიაში დარჩეთ, საჩივარში პირდაპირ უნდა მოითხოვოთ იტალიაში დარჩენის ნებართვა.

მოსამართლე **10 დღის განმავლობაში** გადაწყვეტს, გაქვთ თუ არა სასამართლო განხილვის მთელი პერიოდის განმავლობაში იტალიაში დარჩენის უფლება. გარდა ამისა, მოსამართლე თქვენს საერთაშორისო დაცვის მოთხოვნაზე გადაწყვეტილებას **4 თვის განმავლობაში** მიიღებს.

პროცედურასთან დაკავშირებული ყველა სხვა ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ გაეცნოთ ჩვეულებრივი პროცედურის შესახებ საინფორმაციო ბროშურას, რომელიც ამ დანართთან ერთად გადმოგეცათ.